

სარგბიელი

საქართველო
საბრუნველი

საერთო უკრაინული გაზეთი

პარასკევი 3 ნოემბერი 2000 №213 (1235)

ფასი 50 თეთრი

სტამბოლი
საქართველო ოლიმპიადა
გზავნა VI ტური

ქალები
საბრუნველო — ჩინეთი 1,5:5
ვაჭები
საბრუნველო — თურქეთი 2 4:0

სიზანიშვილი დაბრუნდა რატომ? კაცმა არ იცის!

ლოგჯანიძე ტორპედოში?!

უეფასგან სამუდამოდ შერისხულს ჩვენში ამნისტიას ვპირდებიან

ღმერთო, ჭვარვილი პრიკსონს



ზაფარი კატილაძის ფოტო

ზურაბ ხიზანიშვილი არსენ ვენგერმა ზღაპარში მიიწვია. როგორი იქნება ბოლო?


არსენ ვენგერი ანკონაში ჩავიდა, ნახა და გადანყვიტა. მალე 19 წლის ზურაბ ხიზანიშვილი ლონდონს გაემგზავრა. არსენ ვენგერმა ავარჯიშა, ნახა და თქვა: მთლად ადამისი შემცვლელი არა, მაგრამ მეტად ნიჭიერი ბიჭიაო. თავად ტონი ადამსმა უთხრა, ერთად მოვიგებთ პრემიერლიგასო... და უცებ: ხიზანიშვილი თბილისში ბრუნდება. აგერ, „არსენალის“ მთავარი სკაუტიც ჩამოვა, „გორდასთან“ მის თამაშს ნახავს და იქ გადანყვიტა ყველაფერიო.

ანკონაშიც ნახეს, თავის ლარივით მოედანზეც და თურმე ყველაფერი რუსთაველის ოლროზოლოზე უნდა გადანყვიტეს. რალაც არ მჯერა. ჰოდა, დავინტერესდი — ეგებ ისეთი კონტრაქტი აქვს ამ ბიჭს „ლოკომოტივთან“, არსენი და „არსენალი“ ერთად ვერ ერევიან-მეთქი. აკაკი ჩხაიძე, „ლოკომოტივის“ პრეზიდენტი: ორი თუ სამწლიანი, ზუსტად არ მახსოვს; ტარიელ ღვაჭაძე, „ლოკომოტი-

ვის“ ვიცე-პრეზიდენტი: ერთი თუ ორწლიანი, ზუსტად არ მახსოვს. საშუალოს თუ ავიღებთ, ორი გამოდის, რეალურად კი რა ხდება, მგონი, კაცმა არ იცის. არც ზურამ იცის. ჰოდა, აბა, არსენი რალას გაიგებდა? **ზურაბ ხიზანიშვილი**

ინტერვიუ ზურაბ ხიზანიშვილთან ათი დღე ზღაპარში ინიღბო მთელი გზა

მიწისქვეშა ლონდონში ბარი კასპაროვი მე-20 საუკუნეში დარჩა, 21-ის ვლადიმერ კრამნიკი იფხავს



REUTERS ლონდონიდან

გარი კასპაროვის ღრმა...

წუხელ, თბილისის დროით 23 საათსა და 05 წუთზე ჭადრაკში მიწა იძრა. ბრძენთა თამაშის სამეფო ტახტიდან ჩამოვარდა კაცი, რომელიც 15 წლის მანძილზე შეუცვლელად და შეუწყველად მართავდა თავის სამეფოს, ურჩებს დაფაზე მაგიური გადაადგილებებით სჯიდა, არ სცნობდა არავითარ ავტორიტეტებს და ბოლო წლებში თითქმის სრულიად მარტო ებრძოდა დანარჩენი მსოფლიოს საჭადრაკო ჯარებს... მიწისძვრის ეპიცენტრი შორეულ ალბიონზე, ლონდონში იყო, იქ სადაც აწმარბილი მეფე გარი კასპაროვი რჩეულ მხედარმთავარს, ვლადიმერ კრამნიკს სამი კვირის მანძილზე ამაოდ უპირებდა გაჭყლებას. იყო მომენტები, როცა მეფის მძებნარებს თითქმის ნაყოფი უნდა გამოეღო, მაგრამ ბრძოლის სადავე თავიდან ბოლომდე ხელთ ეყვრა 25 წლის ტუფსეულ ახალგაზრდას. მისი დიდებულად გათამაშებული დებიუტები, მახვილი ალღო და რკინის ნერვები განსაზღვრავდა პარტიათა შედეგს. კრამნიკი შავებით აგებდა „ბერლინის კედელს“, რომელიც კასპაროვმა ერთხელაც ვერ გაანგრია, თეთრებით იგებდა მოსაგებ პარტიებს (ორჯერ მოახერხა) და არასოდეს ყოფილა იმ მდგომარეობაში, მოჭადრაკენი ფარგონულად „ჩათვლებას“ რომ ეძახიან. ზვალ გასამართი შეთქმულ პარტიის ფასი კაპიკია, რადგან ყველაფერი ცხა-



ვლადიმერ კრამნიკის ტრიუმფი

და და გარკვეული: ჭადრაკს მე-14 ჩემპიონი ჰყავს, ოფიციალურად ერთი სამთავარი, მაგრამ რეალურად ერთადერთი, რადგან მხოლოდ მან მოახერხა ის, რასაც ადრეც მრავალი ფიჭრობდა და ზოგი ცდილობდა კიდევ — მსოფლიოს დამარცხებული ჩემპიონის დამარცხება. 21-ე საუკუნეში ჭადრაკის სამყარო ახალი მეფით შეაბიჯებს. მას ვლადიმერ კრამნიკი ჰქვია. **დავით გულუა**

სარგბიელი

...სტოლონ გულისაფხილი საქართველოს ფეხბურთელთა ნაპრების შესახებ.
...ვიტორია აფანსი, ავლაბარი და დავიდ ბეჟინის პლაკატი.
...ცოტაც ვიხეიარულთ.
...პროფესიული კრიმის ყველა ნიშნები.
...პირაბ რატიშვილი — მეორე ოცნების გუნდის თვითმხილველი.
...ანთადილ გურასაფხილი სიღნეის იმონებს.

ორშაბათიდან ჟურნალი სარგბიელი ფასი 2 ლარი

იტალია

IV ტური

ინტერი 2:0 რომა

1:0 პაქან შუქური (19), 2:0 რეკობა (68) ინტერი: ფრე, მირილი, ფერარი, ბლანი, კორდობა, ზედედორფი (იუგოვიჩი 62), დი ბაჯო, ფარინოსი (კოე 86), გრეშო, რეკობა (კინი 78), პაქან შუქური 85 ვრთნელი: მარკო ტარდელი რომა: ანტონიოლი, რინალიდი (მონტელა 67), ძაგო, სამუელი, კაფუ, კანდელია, კ. ძანეტი (მარკოს ასუნალი 53), ტომასი, ტოტი, დელვეკიო (გიუგო 88), პატისტუტა გაფრთხილება: ტოტი, დი ბაჯო, გრეშო 65 000 მაყურებელი

პარმა 2:0 მილანი 1:0, 2:0 მილანი (5, 66) პარმა: ბუფონი, ტურამი, ტორიზი, ფ. კანავარო, ფაბიანი, ფუხერი, ალმიდა, ლამბუში, სერეიუ კონსეისაუ (ბოგოსიანი 84), მიკუ (აბია 88), მილანი (სენსინი 90) 85 ვრთნელი: ალბერტო მალესანი მილანი: დიდა, შამოტი, კოსტაკურტა (სალა 50), მალდინი, კოკო, ალბერტინი, ამბროზინი (მელდეგი 81), ტატოლო, სოსე მარო, ბირჟოფი (ბობანი 55), შეფჩენკო 85 ვრთნელი: ალბერტო ძაკერონი გაფრთხილება: ფაბიანი, კოსტაკურტა, მალდინი, შამოტი, ამბროზინი 21 500 მაყურებელი

იუვენტუსი 1:2 უდინეზი 0:1, 0:2 სოსა (23, 67), 1:2 დელ პერო (78) იუვენტუსი: ფან დერ სარი, ფერარა, ძანკი, იულიანო (ბაკინი 46), პესოტო, ონილი, დევიდსი (ტაკინარდი 72), პარამატი, ზიდანი (კოვჩევიჩი 46), ფ. ინსაგი, დელ პერო 85 ვრთნელი: კარლო ანელოტი უდინეზი: ტურჩი, გარგო (ძამბონი 58), სოტილი, ბერტოლი, ალბერტო (ელგერა 81), ბისგაბარდი, ჯანიკუდა, ფიორე, დიასი, სოსა, მუცი (იორგენსენი 57) 85 ვრთნელი: ლუიჯი დე კანიო გაფრთხილება: ჯანიკუდა, გარგო, ალბერტო, ფიორე, დიასი, ინსაგი, ტურჩი, სოსა 40 000 მაყურებელი

ატალანტა 3:0 ვერტოლა 1:0, 2:0 დ. მენინი (44), 3:0 ვერტოლა (90) ატალანტა: ბინატო, სივილია, პაგანი, კარერა, ზაური (ლორენცი 90), კ. მენინი, დ. მენინი, დონატი, დონი (ბელინი 88), განცი (ვერტოლა 75), როსინი 85 ვრთნელი: ჯოვანი ვაგასარი ვერტოლა: ფერონი, ოდო, ლაურსენი, აპოლონი, გონლა (ვიტანოვიჩი 75), კოლუჩი, იტალიანო (კამბორინი 46), მაციოლა, სალვეტი (ბონატოლი 57), ჯილარდინი, მუტუ 85 ვრთნელი: ატილიო პეროტი გაფრთხილება: სალვეტი, კოლუჩი, დონი, ფერონი, ბონატოლი 17 000 მაყურებელი

პოლონია 2:0 რავენა 1:0 ოლივერა (58), 2:0 ბინოტი (82) პოლონია: პალიუკა, ფალონე, ბია, კასტელინი, ნერვი, ოლივე, ლიმა, ვომე, ოლივერა, სულიო კრუზი (ბინოტი 74), სინიორი (პიანინი 86) 85 ვრთნელი: ფრანკისკო გვიდოლინი რავენა: ტიბი, კანეირა, სტროვინი, ომადოვანი, ვარგასი (ვერონი 79), ბრევი (დე კოშტა 69), ბერნინი, ძამბრეცა (კოცა 76), მორაბიტო, მარაზინა, პოსანინი 85 ვრთნელი: ფრანკო კოლომბა გაფრთხილება: ბრევი, სტროვინი, ბია, ოლივი, ბერნინი, ბინოტი 25 000 მაყურებელი

ფიორენტინა 2:2 პარი 1:0 რუი კოშტა (32), 1:1 მასინა (72), 1:2 კასანი (80), 2:2 ნუნო კომეში (88) ფიორენტინა: ტოლდო, ტორიელი (მ. როსი 65), ადანი, ბერინი, ვანელი (რეგუკა 87), დი ლივიო, როსიტო, კამპორუზო (კიეზა 77), რუი კოშტა, ნუნო კომეში, ლეანდრო 85 ვრთნელი: ფათიშ თერინი პარი: ჯ. როსი, დე როსა, მაცირელი, ინოჩენტი, კოლაუტო (ნეკროიზი 73), ბერო-

მოსუბათს პარმასი პატრიკ ბოგაბო სოლთან ისივარულა



ლაციო — ბერეა 2:1. რომელი ფაბრიციო რავანელი ფაბიო პეტრუსისა და სტეფანო დიანას შორის

ლაციო — ბერეა 2:1. რომელი ფაბრიციო რავანელი ფაბიო პეტრუსისა და სტეფანო დიანას შორის

ვირინა 1:0 პირუა 1:0 კალონი (90) ვირინა: სტერჩელი, კარდონე, მარკო აურელი, დიკარა (ლუიზო 71), დეა კანტო, სომბე (როსი 63), ბერნარდინი, ლონგო, ძაული, ტონი (ბეატო 90), კალონი 85 ვრთნელი: ედუარდო რეია პირუა: მანტინი, რივალტა, მატერატი, მონაკო, ზე მარია, პიერი, ლივინი, ბაიო, ტედეკო, ვიჩასი (დი ლორეტი 69), ბუჩი (საუდატი 66) 85 ვრთნელი: სერსე კოსმი გაფრთხილება: მატერატი, ძაული, ლონგო, ტონი 12 000 მაყურებელი

ლაციო 2:1 პარმა 0:1 უბერი (43), 1:1, 2:1 ინსაგი (33, 78) ლაციო: ბერუტი, ნერო (ფაბილი 69), ფერნანდუ კოუტუ, მისილოფი, პანკარო, ვერონი, სტანკოვიჩი (რავანელი 75), სიმეონე, ნედედი, კრესპო, კლაუდო ლომბესი (ს. ინსაგი 13) 85 ვრთნელი: სვენ გორან ერისონი პარმა: სრინიეტი, გალი, კალორი, პეტრუცი, დიანა, კოზმინსკი, ბიზოლი, ა. ფილიპინი (მარინო 82), ილანი, თურქილიშაზი (გონსალესი 68), მანჯეროლი 85 ვრთნელი: კარლო მაციონე გაფრთხილება: ვერონი, დიანა, ილანი, ბიზოლი 45 000 მაყურებელი

ლაციო 2:1 ნაპოლი 0:1 ფრეზი (68), 1:1 ფუგინეტი (74) ლაციო: კინეტი, ფურკანი, მალუსკი, საგინო, კონტაციო, ტონეტი, კოლონელი, ჯორჯეტი (ბალერი 66), პიანჯერელი, ფუგინეტი, ალუკარელი (ოსორიო 46) 85 ვრთნელი: ალბერტო კავასინი ნაპოლი: მანინი, მაცოლი (ტროსი 87), ბალდინი, ფრეზი, პინედა, ბეკი, მატუზაღეში, იანკულოვსკი, მორიერო (დი ვინჩო 61), ნ. აპორუზო, სესა (ბელუჯი 46) 85 ვრთნელი: ზდენეკ ზემანი გაფრთხილება: მატუზაღეში, ჯორჯეტი, საგინო, ფუგინეტი 16 068 მაყურებელი

ამატით მისი საუკეთესო ფეხბურთელების, ზინედინ ზიდანისა და ედვარდო ლავისის ამასწინანდელი ნერვიულობა და წითელბარათიანობა ჩემპიონთა ლიგაში... ვითომ დამთხვევები?

„პარამა“, რომელიც სეზონის წინ საჩემპიონო გულზე იყო, შესაბამისად ითამაშა და „მილანი“ მოუგო 2:0. ეს თავის მხრივ იმას ნიშნავს, რომ მილანელ უკრაინელ ანდრეი შეჩენკოს გოლი არ შეუგდია. ასეც ხდება... უფრო ვრცლად საუბარი ჩემპიონთა ლიგაში „დავიწყეთ“. რომელიც მიშობლიურ ოლიმპიურ სტადიონზე, როგორც მოგახსენებთ, თავიდან ჩამორჩნენ, თან მეთუხე წუთზევე — ლარიო უბერემა პენალტი გაუტანათ. რვა წუთის შემდეგ უსიამოვნებას უსიამოვნება დაემატა, არგენტინელი სუპერმუნაქი (ყოველ შემთხვევაში, ფასის მიხედვით) ერნან კრესპო მუხლის მკვდის ტრავმით მოედინდა გაიფანეს — ოთხი კვირით. მაგრამ სიმონე ინსაგამ 34-ე წუთზე პენალტივით გაათანაბრა ანგარიში (პენალტი თავადვე მოინადირა), ხოლო საფინალო სასტუვენამდე 11 წუთით ადრე „ლაციო“ გამარჯვების გოლიც შეაგდო: მოედანზე სამი წუთის შესულმა ფაბრიციო რავანელი მოწინააღმდეგის საჯარიმოსთან „გაბიბი გაარღვია“ და დარტყა, ოღონდ ბურთი ჯერ ინსაგის მოხვდა და კარში ისე შევარდა. მატისსემდეგო პრესკონფერენციაზე

Table with columns for teams (სულ, შინ, სტუმარად) and rows for various football matches with goals and statistics.

Table with columns for teams (სულ, შინ, სტუმარად) and rows for various football matches with goals and statistics.

პოპიბე, დეარსუთო! დიდა ციხიპირლა ალექსანდრ კარალინა ამერიკელისგან კლავა ვერ მოინელა



28 ნელი და 10 მეტი

მართალია, ტრევის მსოფლიოს ჩემპიონატი ინგლისურ მანჩესტერში უკვე რამდენიმე დღეა, დასრულდა, მაგრამ ამ ქალაქს ერთხელაც მივუბრუნდებით.



კრის ბორდმანი

შუა დნებოდა და 20 მეტრამდე შემცირდა. 48-ე წუთზე კი წინ უკვე ედი მერქის „გაიტრა“. ამის შესახებ მყურებელს ვეება ტაბლომ ამცნო და მათაც თანამემამულეს შეუძახეს.

ბორდმანმა თავისი ცდის ბოლო სამ წუთში მოახერხა მდგომარეობის გამოსწორება. ბოლო გაბრძოლება, რომელშიც ალბიონელს გამამხნეველები შეძახილებით მანჩესტერის ველოტრეკზე თავმოყრილი მრავალრიცხოვანი მაყურებელიც დაეხმარა და მერქის რეკორდი დაეშო.

30 წამილა რჩებოდა ბორდმანს და იგი ათიოდ მეტრს ისევ აგებდა, მაგრამ არაადამიანური ძალისხმევით შეძლო ჩამორჩენის აღმოფხვრა და კარიერის ბოლო როლოა წარმატებით დაასრულა.

მაყურებელი კრის დიდხანს უკრავდა ტაშს, იგი კი მეუღლის, სელი ანისა და სპორტული დირექტორის, როუ ლეუგის, რომელიც 1993 წლიდან, ანუ პროფესიონალის კარიერის დასაწყისიდანვე მის გვერდითაა, მკლავებში იყო.

32 წლის ბორდმანმა, ბოლო ათწლეულის ერთ-ერთმა ყველაზე ძლიერმა საგზატრეკელო ინდივიდუალისტმა და ტრეკზე გამოდევნებით მრბოლმა, უკვე კარგა ხანია, გამოაცხადა, რომ კარიერას ასრულებდა. მას ეკუთვნოდა თანამედროვე ველოსიპედით დაძვარებული საათიანი რბოლის ბოლო რეკორდიც (56,375 კმ), რომელიც ველოსპორტის საერთაშორისო კავშირმა რამდენიმე კვირის წინ ყველა დროის საუკეთესო შედეგად აღიარა. ვსკ-მ იმ გადაწყვეტილებით რეკორდს მერქის 1972 წლის მუხიკოში ნაწევრები შედეგი გამოაცხადო. იგი ეგრეთ წოდებული კლასიკური ველოთი დამყარდა და მხოლოდ 1984 წელს გააუზოგბეს იტალიელმა ფრანჩესკო მოზერმა, რომელიც პარასკევს მანჩესტერში იყო, ოღონდ ტექნიკურად გაუმჯობესებული ველოსიპედით.

ბორდმანსა და მერქს შორის, რომლებსაც 28 წელი აშორებდათ, დღეული თავიდან ლივერპულის უბირატესობით წარიმართა. მან საწყისი 10 კილომეტრი 49,731 კმ/სთ საშუალო სიჩქარით გაიარა, შემდეგ 49,8 კმ/სთ-საც უწია, მაგრამ თანდათანობით დაღლა დაეცო და სიჩქარეც დაადლო. მისი უბირატესობა თვალსა და ხელს

ამით დასრულდა ბორდმანის კარიერა, რომლის განმავლობაშიც იგი ორი გუნდის ღირსებას იცავდა. 1993 წლიდან 1998 წლამდე ლივერპულელი „გაიტრა“ იყო, ხოლო როცა ეს გუნდი დაიშალა, ლეუგის „კრედი აგრიკოლში“ გაჰყვა. ბორდმანის წარმატებებიდან ყველაზე აღსანიშნავია ტრეკზე გამოდევნებით ბოლოში მსოფლიოს ჩემპიონატის ორი (1993, 1996) და ოლიმპიადის (1992) ოქროს მედლები. გზატრეკელებზე მას 1994 წელს იტალიურ კატანიაში ინდივიდუალურ რბოლაში მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოუპოვებია, 1993 და 1996 წლებში ედი მერქის სახელობის გრან პრი დაუსაკუთრებია და სამჯერაც (1994, 1997, 1998) „ტურ დე ფრანსის“ პროლოგისას უმარჯვია.

ბაიოზ თალაგამი



ჰეითორიქიანი მონდრისკაცის საჩხენი

Table with NHL game results including teams like Tampa Bay, Carolina, and scores.



არ ბასულა მონრეალელი სერგეი ეოლტის დარტყმული შიბა დეტროიტელთა კარს ასცდა

ჰოპეი

ჰეითორიქიანი მონდრისკაცის საჩხენი

„მე მათ რიცხვს არ მივეუკუთვნები, რომელიც წარსულით ცხოვრობენ. მარმანდელი ისტორიას ჩაბარდა, ახლა სხვა ამბავია“ — რეინჯერსის უკუჯა ფორვარდი ტეორენ ფლერი (166 სმ) ასეთი ოპტიმიზტი რომ არ ყოფილიყო, დღითი დღე მხარდ, ძლიერ ლიგაში არც იქნებოდა მისი ადგილი. ახლა კი იგი ფრთხვად დაფასებული მოთამაშეა და მარმან რეინჯერსმა მასთან მრავალწლიანი კონტრაქტიც გააფორმა (3 წელიწადში 21 მილიონი).


რუბაში ანგარიშიც გათანაბრდა (+63=-63). მოქმედ მეკარეთა შორის შათაუტებში დაწინაურებულმა ედ ბელფორმა კი 51-ე მშრალი მატჩი მითთვალა. ევგენი ნაბოკოვს ჯერ ბებრი უკლია ბელფორამდე, მაგრამ ამჯერად მართლაც რომ იხსნა „ზვიგენტები“.

ვად იარომირ იავრიმ მოიწადინა ნაბოკოვთან გასწორება, მაგრამ ყახხამა მეკარემ სწორედ რომ სასწავლი მოახდინა, მესამე პერიოდში მან სამი დღეული მოუგო სუპერჩეს, ხოლო მარტინ სტრაკას ბულიტი არ გამოაყენებინა.

Tables for NHL statistics including team performance, player stats, and standings.

თვის მოთაგაუა

Table with hockey player profiles and statistics for the current week.




პრინს პრინცპალი (სენტ ლუისი, 1); მარინან პრინს (ოტავა, 1) — ჯემარში რემიკი (ფინიქსი, 1) — სპოტი იანგი (სენტ ლუისი, 1)

ჩირიჭუნოშიას აბგავუი



ახალი ზელანდიის მთარგებთა ნაკრები „ოლ ბლექსი“ იაპონიაში „პრინც ჩინიბუნოშიას“ მემორიალზე სათამაშოდ ჩავიდა. საქველმოქმედო შესვენებაში „ოლ ბლექსი“ „წყნარი ოკეანის ბარბაროსებს“ უნდა ეთვალურბურთათოს. დიდი სტუმრობით აღფრთოვანებული იაპონელი ქომაგები ახალზელანდიელ ვარსკვლავს ჯონა ლომუს შემოეჯარნენ და ავტოგრაფები ჩამოართვეს.

REUTERS ტოვოდან



პოი, უნამუსობავ!

ინფორმაციის სპორტის მინისტრი უხუცეს სინგჰ ღმინდს საზოგადოების წინაშე გამოძიების ცენტრალური ბიუროს დასკვნით წარსდგა. დადგინდა: ქვეყნის მოციკეტო ნაკრების ყოფილი კაპიტანი მოპამად აშარუდინი, მისი თთხი თანაგუნდელო და ბევრიც უცხოელი მოთამაშე ერთმანეთს ურთგებოდნენ და თამაშებს დათქმული შედეგით ამთავრებდნენ და ტოტალიზატორებისგან დიდძალ ფულს იღებდნენ.

გოგვიდა გუა!

არის ასეთი ქვეყანა, ამერიკის შეერთებული შტატები, სადაც 31 ოქტომბერს „ჰელოუინის“ დღესასწაულს აღნიშნავენ. ზეიმი იმაში გამოიხატება, რომ სხვა დროს სავსებით სერიოზული ადამიანები თეთრ გრიმს, ვამპირის კბილებს, მელიის ბეწვებს ან პარიკს მოიხრებენ და ერთმანეთის შეშინებას ცდილობენ. ზუსტად ისე, როგორც ჰონ კონგში მიმდინარე ვეტერანთა საჩოგბურთო ტურნირზე ფრანგი ანრი ლეკონტი და ირანელი მანსურ ბაჰრაში.



გდიდართ სიქველი

ფოტოზე მარჯვნივ ლეგენდარული მეგოლფე არნოლდ პალმერი რომელიც ორ კოლეგასთან ერთად პეინი სტიუარტის სახელობის ჯილდოთი დააფასეს. პეინი სტიუარტი გახლდათ პალმერის გვერდით ჩამომჯდარი ქალბატონის, ტრეისი სტიუარტის მეუღლე, რომელიც 1999 წლის 25 ოქტომბერს ავიაკატასტროფაში დაიღუპა. ეს დაჯილდოება ატლანტის „ისტ ლეიქ გოლფ კლამში“ გაიმართა. ამიერიდან იგი ყოველწლიური გახდება. ლაურეატებს შეარჩევენ მათგან, ვინც პეინი სტიუარტის დარად მიუძღვნა თავი გოლფსა და ქველმოქმედებას. ცნობისთვის: გოლფი მსოფლიოში ყველაზე შემოსავლიანი სახეობაა.

REUTERS პონ კონედან

გი-ნა-რო-ღმე!

იმ დღეს ტამპა-ბეიში შუქი მთელი დღე არ გამოურთავთ — ქალაქს პრეზიდენტობის დემოკრატი კანდიდატი და ჯერჯერობით აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტი ელ გორი ეწვია. არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში გორი მოსახლეობას დაპირდა შექარს, კარაქს და ერთ სულ მოსახლეზე 28 დოლარს გვალვებიანი ზაფხულის ზარალის კომპენსაციისთვის. შემდეგ კანდიდატმა იქაური ფეხბურთის კლუბი „ბაკანირზი“ მოინახულა, წვრთნას დაეხმარა, მწვრთნელისგან, ტონი დანგისგან სამახსოვრო №1 მაისურა მიიღო და გუნდს სავარჯიშო მოედნის ბალახის განსაახლებლად თესლით მომარაგება აღუთქვა.



REUTERS ტამბადან



სარბიელი
საორტული გაზეთი
გამოიცვამა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის სამსახურს,
ოთხსაბათს, ხუთსაბათს,
პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ჯორჯაძე
დირექტორი ბიორბი ოქროშვილი
რედაქტორი თამაზ მიხრიაული
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ზურაბ მამუკელი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორიძე
კალათბურთის რედაქციის რედაქტორი მარაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია ვახტანგ ბუკიაძე, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროშიანიძე; ინფორმაციის რედაქცია ვია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის რედაქცია ვიო ახვლედიანი, გიორგი ბაკაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოღონაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტი მია აბოიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლლი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, მამუკა გუბულაძე, სვეტა ლევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შიოლაშვილი, გურამ ხელაშვილი

გამომწვეები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზვავის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საზოგადოებრივი მისამართი:
თბილისი — 79, საზოგადოებრივი ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge